

შპს „სასტუმროთა დეველოპმენტი და მართვა“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „სასტუმროთა დეველოპმენტი და მართვა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	8 597 270	6 741 329	5 570 555
სულ გრძელვადიანი აქტივები		8 597 270	6 741 329	5 570 555
სასაქონლო მარაგები		-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	89 806	11 486	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		356 752	231 937	2 430 914
სხვა მიმდინარე აქტივები	6	9 510 350	780 963	466 949
სულ მოკლევადიანი აქტივები		9 956 908	1 024 386	2 897 863
სულ აქტივები		18 554 178	7 765 715	8 468 418
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	13 456 047	3 471 115	3 282 856
სულ ვალდებულებები		13 456 047	3 471 115	3 282 856
სულ ვალდებულებები		13 456 047	3 471 115	3 282 856
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		7 627 188	5 740 750	5 920 750
გაუნაწილებელი მოგება		(2 529 057)	(1 446 150)	(735 189)
სულ საკუთარი კაპიტალი		5 098 130	4 294 600	5 185 561
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		18 554 178	7 765 715	8 468 418

შპს „სასტუმროთა დეველოპმენტი და მართვა“-ს
დირექტორი დათო ცერცვაძე




შპს „სასტუმროთა დეველოპმენტი და მართვა“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
ამონაგები	8	297 313	390 495
ამონაგების თვითღირებულება		(11 621)	(32 555)
საერთო მოგება		285 692	357 940
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1 311 344)	(1 030 920)
ფინანსური ხარჯი			
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		(57 256)	(37 981)
მოგება დაბეგვრამდე		(1 082 907)	(710 961)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(1 082 907)	(710 961)


შპს „სასტუმროთა დეველოპმენტი და მართვა“-ს
 დირექტორი დათო ცერცვაძე



**შპს „სასტუმროთა დეველოპმენტი და მართვა“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019
პერიოდისთვის**

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილე ბელი მოგება	ჯამი
	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი - 01.01.2018	5 185 561	-	5 185 561
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		(180 000)	(180 000)
გაცემული დივიდენდები			
პერიოდის მოგება		(710 961)	(710 961)
ნაშთი - 31.12.2018	5 185 561	(890 961)	4 294 600
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		1 886 438	1 886 438
გაცემული დივიდენდები	-		-
პერიოდის მოგება		(1 082 907)	(1 082 907)
ნაშთი - 31.12.2019	5 185 561	(87 431)	5 098 130

შპს „სასტუმროთა დეველოპმენტი და მართვა“-ს
დირექტორი დათო ცერცვაძე



შპს „სასტუმროთა დეველოპმენტი და მართვა“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სასტუმროთა დეველოპმენტი და მართვა“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 17/10/2016). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი, "კოხტის ძირი", კოტეჯი №12. მისი ძირითადი საქმიანობაა საკუთარი ქონების გაქირავება. აგრეთვე მოიცავს, სასტუმროების მენეჯმენტს და მონიტორინგს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურეობის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურეობა მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება

იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებული. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნა 4.

ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	საინვესტიციო ქონება	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	არამატერიალური აქტივები
თვითღირებულება	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
1 იანვარი 2017 წ.	3 707 332	2 213 418	-	-
შემოსვლა	-	-	5 064	762
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2017 წ.	3 707 332	2 213 418	5 064	762
დაგროვილიცვება და გაუფასურება				
1 იანვარი 2017 წ.	(37 479)	(22 376)	-	-
წლიური ცვება	(185 367)	(110 671)	(122)	(8)
გასული აქტივის ცვება	-	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-
31 დეკემბერი 2017 წ.	(222 845)	(133 047)	(122)	(8)
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2017 წ.	3 484 487	2 080 371	4 943	754
თვითღირებულება	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
1 იანვარი 2018 წ.	3 707 332	2 213 418	5 064	762
შემოსვლა	1 162 817	409 560	4 875	-
გასვლა	(86 335)	-	-	-
31 დეკემბერი 2018 წ.	4 783 814	2 622 978	9 940	762
დაგროვილიცვება და გაუფასურება				
1 იანვარი 2018 წ.	(222 845)	(133 047)	(122)	(8)
წლიური ცვება	(202 294)	(122 677)	(1 501)	(114)
გასული აქტივის ცვება	6 443	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018 წ.	(418 696)	(255 724)	(1 623)	(122)
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2018 წ.	4 365 118	2 367 254	8 317	640
თვითღირებულება	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
1 იანვარი 2019 წ.	5 193 374	2 213 418	9 940	762
შემოსვლა	67 150	2 394 938	2 288	-
გასვლა	(159 154)	-	-	-
31 დეკემბერი 2019 წ.	5 101 369	4 608 356	12 228	762
დაგროვილიცვება და გაუფასურება				
1 იანვარი 2019 წ.	(430 702)	(243 718)	(1 623)	(122)
წლიური ცვება	(256 299)	(199 944)	(1 752)	(114)
გასული აქტივის ცვება	8 830	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019 წ.	(678 172)	(443 662)	(3 375)	(236)
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2019 წ.	4 423 197	4 164 694	8 853	525

შენიშვნა 5.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 ლარი	2018 ლარი
მოთხოვნები ადგილობრივი მიწოდებიდან	89 806	11 486

შენიშვნა 6.

სხვა მიმდინარე აქტივები	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
გადახდილი ავანსი	-	-	-
გაცემული სესხი და მისაღები პროცენტები	9 510 350	750 831	466 949
საგადასახადო აქტივი	-	30 132	-
სულ:	9 510 350	780 963	466 949

შენიშვნა 7.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	4 603	17 639	26 075
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13 284 641	3 452 137	3 137 569
საგადასახადო ვალდებულება	162 577	-	119 213
სხვა ვალდებულებები	4 227	1 338	0
სულ:	13 456 047	3 471 115	3 282 856

შენიშვნა 8.

ამონაგები	2019 ლარი	2018 ლარი
ადგილობრივი მიწოდება	297 313	390 495
	297 313	390 495

შენიშვნა 9.

ადმინისტრაციული ხარჯები	2019 ლარი	2018 ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(284 640,80)	(384 565,00)
ცვეთა და ამორტიზაცია	(458 109,73)	(326 586,46)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(568 593,37)	(319 768,66)
სულ:	(1 311 344)	(1 030 920)

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2020 წლის 28 სექტემბერს.

შპს „სასტუმროთა დეველოპმენტი და მართვა“-ს
 დირექტორი დათო ცერცვაძე

